ოქმი:**ო12. 3726175001**

თარიღი:**24/06/2026**

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14:00 -15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, დ. ხურციძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, ე. წუწუნავა, თ. ბადალაშვილი, გ. ჩავლეშვილი, გ. სირაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ს. რამიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესხებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N 13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: მარიამ დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი, თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილი იქნება დადგენილების სხვადასხვა მუხლებში. დადგენილების პროექტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა - დადგენილებაში ცვლილებას წესით უნდა ახლდეს ბიუჯეტის შესაბამისი ცვლილება, თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება არაა გათვალისწინებული, თანადაფინანსება ხდება 17-ბენეფიციარზე. კომისიის წევრმა ხ. ცერცვაძემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით

„დღის ცენტრში“, რომელიც ახდენს ამ ბავშვების მომსახურებას, აღრიცხულია 25 ბენეფიციარი. კომისიის წევრების დაინტერესება გამოიწვია დაფინანსების გარეშე დარჩენილი 8-ბავშვის პრობლემამ, კომისიის წვრმა გ. ჩავლეშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდით შეაძლებელია 8-ბენეფიციარის დაფინანსებისათვის ბიუჯეტში დამატებით თანხის მობილიზება, ანუ აუცილებელია ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანა. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ს. რამიშვილმა განაცხადა, რომ 17-ბენეფიციარის დაფინანსება მორგებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე. სხდომის თავმჯდომარის ტ. ბარამიძის აზრით დამატებითი თანხების გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში არსებული თანხის გაცემისათვის შემუშავებული უნდა იქნას ბენეფიციართა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები, ან არსებული თანხა გადანაწილდეს 25 -ბენეფიციარზე. კომისიის წევრ ლ. კილაძის აზრით აუცილებელია ბიუჯეტში ამ პროგრამისთვის დამატებითი თანხის გამოყოფა და 25 ბენეფიციარის დაფინანსება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - დადგენილების პროექტი, პრობლემის აქტიურობიდან გამომდინარე, წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და საჯარო ადმინისრტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი